# ახალი სხივი

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი**

სამშაბათი, 23 მარტი 1910 წ. **№ 40**

გაზეთი „ახალი სხივი“ ღირს როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ე რ თ ი წ ლ ი თ 7 მან. ნახევარი წლით 4 მან. თვიურათ: თფილისში 80 კაპ. თფილისს გარეთ 90 კ. სამი თვით თფილისში 2 მ. 20 კ., თფილისს გარეთ 2 მ. 50 კაპ. საზღვარ გარეთ—ორჯერ მეტი იმაზე, რამდენიც თფილისში ღირს.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი ს ფ ა ს ი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით—15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ სალამოს 4 საათამდე 3 მან. 4 საათის შემდეგ—მეტი. გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველი რიცხვიდან.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები არ ინახება და მათ შესახებ რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს. ერთი თვით ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები, ადრესის გამოცვლა თფილისიდან თფილისს გარეთ ღირს 80 კაპ. სხვაგან—40 კაპ. ცალკე ნომერი ღირს ყველგან ე რ თ ი შ ა უ რ ი. რედაქციის ადრესი: თფილისი, ვანქის ქუჩა



## თამბაქოს ფაბრიკა ა. ენფიანჯიანცისა

ამით აუწყებს თავის მუშტარს, რომ ამ ჟამათ ახალ მაშინების შეძენით და ზედ-მეტ საათების სამუშაოს შემდეგით ფაბრიკა ამზადებს დღე-ღამეში

**120000**

ამიტომ ეხლა საშუალება გვაქვს მომავალში თავის დროზე დაუგვიანებლათ შევასრულოთ დაკვეთილი საქონელი.

ამასთან ფაბრიკა საჭიროთ სთვლის მიაქციოს პაპიროსის მწეველთა ყურადღება პაპიროსს

**ევსტრა** 25 ცალი 10 კაპ. 15 ცალი 6 კაპ.

ეს პაპიროსები თავის განსაკუთრებულ თვისებით ბევრით განირჩევა ყველა სხვა პაპიროსებისაგან, რომლებიც კი მოიპოვება ბაზარზე. ამის დასამტკიცებელი ისიც არის, რომ ეს პაპიროსები მეტათ ბევრი ვრცელდება პაპიროსის მწეველთა შორის. (3—გ.—1)


ალექსი, მიხეილ, ნიკოლოზ, კონსტანტინე და ბეგლარ პაიჭაძენი აუწყებენ ნათესავო და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 23 მარტს, დანიშნულია უკანასკნელი გამოსათხოვარი დღე ძვირფასი მამის

**სიმონ დავითის ძის პაიჭაძის**

ვთხოვთ ნაცნობ-ნათესავებს მობრძანდენ ქ. ფოთში, სომხის ქუჩა, საკუთარი სახლი. 1—1

## ქართული თეატრი

შაბათს, 27 მარტს,

**გრიგოლ რობაქიძე**

წაიკითხავს ქართულათ საჯარო ლექციას ამ თემაზე

## რელიგია მშვენიერებისა

**(შესახებ ოსკარ უაილდის შემოქმედებისა)**

**— ● პროგრამა ლექციისა ● —**

შესავალი.—ცხოვრება და შემოქმედება.—სიყვარული და უკვდავება.—მხატვრული სახე როგორც სიმბოლო უკვდავისა და მარადისა.—უაილდის ესთეტიური თეორია.—ზღაპრები უაილდისა.—დრამა „სალომე“ (სიყვარული და სიკვდილი).—რომანი „დორიან გრეი“ (ტრაგედია მშვენიერი სიცოცხლისა).—სულიერი დრამა უაილდისა. (თხზულება «De profundis») .—მნიშვნელობა უაილდისა.

**ბილეთები იყიდება თეატრის კასაში ✠ დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**


## ერიდეთ

**შეცდომაში არ შეხვიდეთ!**

რა საჭიროა 10 ცალში 5 კაპ. ახადოთ, როცა იმავე ფასში შეიძლება ორჯერ მეტი უკეთესი პაპიროსები იყიდოთ:

**ДРУЖБА И ТОВАРИЩЪ** 20 ცალი 5 კ.

რომ პაპიროსები საუკეთესო ხარისხის არის, ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი ის არის, რომ ბაზარზე გამოიტანეს ამ ფირმის ყალბი პაპიროსები, ამიტომ ყიდვის დროს ფრთხილათ იყავით, მიაქციეთ ყურადღება ფაბრიკის

მარკას და ფირმას

**ნ. ი. ბოზარჯიანცი** მემ-თ.

თფილისში (5—1)

კბილის ექიმი

**რომანიშვილი—დგებუაძისა**

იღებს ავათმყოფებს 2—6 საათამდის. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასათ. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ახალი ბინა: ავჭალის ქუჩა № 34.

კბილის ექიმი

**ს. ვაშაყმაძე**

დილით მიიღება ავათმყოფები 11 საათიდან 2 საათამდის. საღამოს 5—7 ვერის დაღმართი სახ. 15.

ქართველთა გამომცემელ ამხანაგობის

**„ცინკოგრაფია“**

იღებს ყოველ-გვარ ზაკაზებს კლიშეებისა და ასრულებს სუფთათ თავის დროზე.

**ადრესი:** თფილისი, დიდი ვანქის ქუჩა, სახლი № 12 ზემო სართულში. (0—18)

**მკერვალი ქალი**

ვღებულობ შესაკერათ ყოველგვარ ტანისამოსს ქალების და ბავშვებისა

**დაკლებულ ფასებში.**

ადრესი: Казбекская № 10. 0—10

თეთრი უპირველესი აბრეშუმის თესლი, ბაღდადის ჯიშისა

**მიხრან ხანჯიანისა**

სტამბოლი-არტატელ

საუკეთესო თეთრი აბრეშუმის თესლი ბაღდადის ჯიშისა

**თეთრი** ბანდეროლით

მსურველმა უნდა მიმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Гостиница „Кавказъ“ кв. 33. (4—4)


6 აპრილს 1910 წელს დღის 12 საათზე

## თფილისის ქალაქის სამმართველო

ნიშნავს იჯარით ვაჭრობას ნავთის და მაზუთის მიწოდების შესახებ ქალაქის სხვა და სხვა დაწესებულებებისათვის. მაზუთი საჭიროა 60 ათასი ფუთი, ხოლო ნავთი 22 ათასი ფუთი. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, უნდა წარმოადგინოს განცხადება, დახურული კონვერტით ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში და შემოიტანოს კასაში ბეჟ 500 მანეთი. კონდიციების ნახვა შეიძლება ქალაქის გამგეობის პირველ განყოფილებაში დილის 10 საათიდან 2 საათამდე კვირა-უქმე დღეებს გარდა. 3—3

ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით **ილია ბახტაძე** წაიკითხავს საჯარო ლექციას ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ნაქალაქევსა და ჭიათურაში შემდეგ თემებზე:

**● „ბატონ ყმობა და დანიელ ჭონქაძე“ და ჩვენი ახალგაზდა პოეტები: ვარლამ რუხაძე და მისი პოეზია“ ●**

ლექციის წაკითხვის დროს ყოველ ქალაქში და დაბაში ცალკე აფიშებით ეცნობება საზოგადოებას. (8—ის.—6)

## სახელმწიფო დუმა

(სააგ. დეპ.)

20 მარტი.

20 მარტის სხდომაზე დუმამ განიხილა ოთხი წვრილი ხარჯთ-აღრიცხვა: არტილერიის სამმართველოს, მთავარ საინჟინერო სამმართველოს, სამხედრო სასწავლებელთა და კაზაკების სამართველოსი. არტილერიის სამართველოს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოხსენება წაიკითხა სავიჩმა. გამოანგარიშებული ყოფილა 18,186,165 მანეთი. კომისიას შეუმცირებია 12,846 მანეთით. დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას კომისიის გამოანგარიშებით. შემდეგ სავიჩი მოხსენებას აკეთებს მთავარ საინჟენერო სამართველოს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. გამოანგარიშებული ყოფილა 41,664,962 მანეთი, რაც კომისიას უცვლელათ დაუტოვებია. დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას. სამხედრო სასწავლებელთა მთავარ სამმართველოს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ მოხსენებას აკეთებს ზვეგინცევი. გამოანგარიშებული ყოფილა 10,273,129 მანეთი დუმა ღებულობს ხარჯთ-აღრიცხვას. შემდეგ იგივე ზვეგინცევი მოხსენებას აკეთებს კაზაკთა ჯარების მთავარ სამართველოს ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. გამოანგარიშებული ყოფილა 6,128,031 მან. კომისიას შეუმცირებია 700 მანეთით. კომისია სურვილს აცხადებს დაუყოვნებლივ შემოღებულ იქნას კაზაკებში ადგილობრივი თვითმართველობა და ყველა ეკონომიური კითხვები ამ თვითმართველობას გადასცეს. კომისიის სურვილები და ხარჯთ-აღრიცხვა დუმამ მიიღო.

## დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

21—22 მარტი.

### სპარსეთი

**თავრიზი.** თავრიზის პოლიციას და თეირანის კაზაკებს შეიარაღებული შეტაკება მოუვიდათ. დაიჭრა ერთი პოლიციელი. მეჩეთებში მქადაგებლები აგიტაციას ეწევიან შინაური სესხის და რუსეთის ჯარის გაყვანის შესახებ. სესხი წინანდელ მდგომარეობაშია, არავინ ფულს არ იძლევა. სათარხანი და ბაგირხანი ზენდჟანში მივიდენ.

**თეირანი.** სათარ-ხანი და ბაგირ-ხანი ნაციონალისტებმა მიიწვიეს თეირანში. მათმა რაზმმა თანდათან იმატა გზაში.

### ოსმალეთი

**სალონიკი.** უკანასკნელ დღეებში სხვა-დასხვა ერების ბრბოები რამდენჯერმე თავს დაესხენ უიარაღო სოფლელებს.

**სტამბოლი.** იპეკიდან იტყობინებიან, რომ ალბანელმა, რომელსაც სიკვდილით დასჯა ქონდა გადაწყვეტილი, რევოლვერით დასჭრა მუტერაფი ნაკი-ბეი, მოჰკლა ჟანდარმთა უფროსი დიუშტი-ბეი და მთებში გაიქცა.

**სალონიკი.** რადგან ალბანეთში აჯანყება გრძელდება, შეადგინეს არტილერიის ახალი რაზმი, რომელსაც სოფელ ტროიაკის ახლო შეტაკება მოუვიდა ალბანელებთან. მოკლულია შვიდი ალბანელი.

### საზღვარ-გარეთ

**ბალტიმორა.** მერილენდის ქვა-ნახშირის მაღაროებში, სადაც 4,500 მუშა მუშაობს, თავის სურვილით სამუშაო ქირა მოუმატეს.

**ბუდაპეშტი.** „კორრ. ბურ.“ იტყობინება, რომ ზაგრების საქმისათვის დასასჯელებს სასჯელი შეუმსუბუქეს. დღეს გაანთავისუფლებენ ძმებ პრიბიჩევიჩებს.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. პრილუკოვის მდივანმა აჩვენა, რომ პრილუკოვი კარგათ ეპყრობოდა თავის მოსამსახურეებს და საქმეებს თავი დაანება, რაც ტარნოსკაია გაიცნო; ამოწმებს, რომ ის წერილები, რომლებზედაც გუშინ ლაპარაკობდა, ტარნოვსკაიას ეკუთვნის. პეტერბურგელი რიმკევიჩი ტარნოვსკაიას ყველა კითხვებზე უპასუხებს არ ვიციო. სალამოს სხდომა დახურულ კარებში მოხდება.

**ნიუ-იორკი.** „ნიუიორკ-პერ“-ს დეპეშით ატყობინებენ კაიაუნფუდან (შანსის პროვინცია), რომ იქ ოპიუმის პლანტატორებს სალდათებთან შეტაკება მოუვიდათ. მოკლეს 60 კაცი, დასჭრეს მრავალი. შეტაკების მიზეზი ოპიუმის მოშენების წინააღმდეგ ზომების მიღებაა.

**ზასსნიცი.** დილით შტეტინში აფრინდა ჰაეროსტატი „პომმერნი“ ოთხი მგზავრით. დიდი ქარის გამო ჰაეროსტატი 500 ვერსის სიმაღლიდან ზღვაში ჩამოვარდა. ამოიყვანეს ორი მგზავრი: ერთი მკვდარი და მეორე ფერ-მიხდილი. ორი უგზო უკვლოთ დაიკარგა, მათ შორის რეიხსტაგის დეპუტატი დელბლიუკი. ფიქრობენ, რომ დაიხრჩვენ.

**ქაირი.** პოლიციის სამმართველოში ერთმა მთხოვნელმა პოლიციის უფროსს რევოლვერი ესროლა, მაგრამ ააცდინა. მსროლელი დაიჭირეს. ის აღმოჩნდა ნემეცი ებრაელი, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინათ საიდუმლო პოლიციამ დაითხოვა არა კეთილსაიმედოობისათვის.

**ათინა.** სომალიის მოლა თავს დაესხა ერთ ადგილობრივ მკვიდრ ტომის ხალხს, მოჰკლა 800 კაცი და გარეკა საქონელი.

### რუსეთი

**სარატოვი.** იწვის ბერინგის მანქანების საკეთებელი და თუჯის ჩამომსხმელი დიდი ქარხანა.

**პეტერბურგი.** დაიხურა შეერთებულ თავად-აზნაურთა საზოგადოების რწმუნებულთა სიეზდი. სიეზდმა სწავლა-განათლების შესახებ შემდეგი რეზოლიუციები გამოიტანა: „სკოლის უპირველესი საგანია მოსწავლეებში სარწმუნოებრივ და პატრიოტულ გრძნობების განმტკიცება, ამისთვის საჭიროა ისეთი მასწავლებლები, რომლებიც აღიარებენ ყველა ამას. ასეთ მასწავლებლების მოცემა კი შეუძლია სემინარიებს სამინისტროს პროგრამით. საყოველთაო, სავალდებულო სწავლის შემოღებამდე, საჭიროა მასწავლებელთა პერსონალის შედგენა. უპირატესობა უნდა მიეცეთ მასწავლებელ ქალებს, ვიდრე კაცებს. გამრავლდეს ინსპექტორთა რიცხვი. გაიხსნას სკოლებთან ბიბლიოთეკები, რომლების შედგენა მიენდოს სახალხო სკოლების ინსპექტორებს. სამოსწავლო საბჭოს უნდა თავმჯდომარეობდეს თავად-აზნაურთა წინამძღოლი. სიეზდის საბჭოს ევალება იშუამდგომლოს მიეცეთ მასწავლებლის ადგილები სამხედრო სამსახურში ნამყოფთ. თავად-აზნაურთა წინამძღოლებმა სასტიპენდიო თვალყური უნდა ადევნონ ერობათა სტიპენდიებს უმაღლეს სასწავლებლებში, რომ სტიპენდიის წართმევით კბილი მოსტეხონ უმაღლეს სასწავლებლებში რევოლიუციონურ მოძრაობას. სიეზდი საჭიროთ სცნობს დაარსდეს სტიპენდიები სახელოსნო და პროფესიონალურ სკოლებში“.

**სიმფეროპოლი.** ღამით მემამულე შნეიდერის სახლში მივიდა პოლიციურათ გადაცმული ექვსი ბოროტ-მოქმედი, გაიტაცეს 500 მანეთი, ძვირფასი ნივთები და გაიქცენ.

**ვარშავა.** სენატორ ნეიდგარტის განკარგულებით ქალაქის სხვა და სხვა ნაწილში 200 ბინა გაჩხრიკეს, მათ შორის მარტო ვარშავაში საინტენდანტოს და სავაჭრო ფირმათა 130 მოხელის ბინა.

**ვოლოგდა.** რეალურ სასწავლებლის

მათემატიკის მასწავლებელ ლირენცკის ბინაზე კარებთან დადებული ასაფეთქებელი ნივთიერება აფეთქდა. არავინ დაშავებულა.

**კიევი.** სახელმწიფო ბანკის კანტორაში მოხელე ჩერნიახოვსკის გაუფლანგავს რამდენიმე ათი ათასი მანეთი. ჩერნიახოვსკიმ ციანისტის კალით თავი მოიწამლა.

**კურსკი.** გუშინ «გოროდოვოების» რაზმა კარები დაუკაკუნა პოლიციის მხედველობის ქვეშ მყოფ ქალს ჩერნოვალოვას. კარები გააღეს თუ არა, ვიღაცამ ზედი ზედ გაისროლა რევოლვერი. მოკვდა ორი „გოროდოვოი". მკვლელი გაიქცა.

**სამარა.** სასამართლო პალატამ 1905 წლის რკინის გზის გაფიცვების კომიტეტის საქმის გამო ხუთს გადაუწყვიტა 4 თვე ციხე, ორს—სამი, ერთი გაამართლა.

**ნოვოროსიისკი.** სამოსამართლო პალატამ ტემრიუკოვის ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვების საქმის გამო გადაუწყვიტა: ექვსს ერთი წლიდან სამ თვემდე ციხე, ოთხი გაამართლა, ნოვოროსიის გაფიცვების საქმე გადაიდო.

**ცარიცინი.** რკინის გზის სადგურის მოსართავ ოთახში ყელ-გამოჭრილი ჟანდარმი იპოვნეს. დაიწვა ბუკიადნის ხე-ტყის ქარხანა.

**შაკლი.** დაიწვა შვიდი სახლი. ზარალი 35,000 მანეთია.

# ახირებული გულმავიწყობა.

არ გვეგონა, თუ გულმავიწყობაც გამოსადეგი იყო ცხოვრებაში. არ გვეგონა თუ პატივცემული გაზეთი „დროება" ასე გულმავიწყი იყო ან თუ ასე ხერხიანათ ისარგებლებდა ის თავის გულმავიწყობით. „დროების" ასეთი გულმავიწყობა იმდენათ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ საჭიროთ მივვაჩნია ამ ხანათ მასზე მივაქციოთ საზოგადოების ყურადღება.

სულ ოთხი წლის განმავლობაში ღვთისა და ბატონის წყალობით სამ სახელმწიფო სათათბიროს მოვესწარით. ჩვენდა სასიხარულოთ და სხვისდა სავალალოთ ჩვენმა მხარემ სხვა ჯურის ხალხს ჩვენი ამხანაგები ამჯობინა და სახელმწიფო სათათბიროში სამივე ჯერ ჩვენები გაგზავნა.

რასაკვირველია, მხოლოდ გულუბრყვილოს შეუძლია იფიქროს, რომ მის მოქმედებას მოპირდაპირე საზოგადო ასპარეზზე მიუდგომლათ დააფასებს და კრიტიკის სასწორს ცალმხრივ არ გადააქანებს. მაგრამ თუ მოპირდაპირეს მოქალაქობრივი სიდარბაისლე შესწევს, მან უნდა შესძლოს რომ ხელი არ დააფაროს სინამდვილეს და ფაქტი დაუმახინჯებლათ აღნიშნოს.

ახლა მოიგონეთ ჩვენი ამხანაგების წარსული სახელმწიფო სათათბიროებში და დაგვეთანხმებით, რომ ჩვენში ჩვენი მოპირდაპირეები გვერდს უვლიდენ ან და დუმილით ეგებებოდენ, იმასაც კი, რასაც სხვები, ვიგინდარანი და ჩვენი მოსისხლე მტრები ძალაუნებურის ალტაცებით ეგებებოდენ.

შულგინებს და პურიშკევიჩებსაც კი დღემდის ვერ დავუვიწყნიათ ჩვენი ამხანაგი კაკი წერეთელი, მისი რაინდული ბუნება, მისი ორატორული ნიჭი, მისი შეურყეველი რწმენა, მისი თავდავიწყება, როგორც მებრძოლისა, მისი აღგზნებული სიტყვის ზეგავლენა მოსეულ მტერზე. მისი მოგონება დღესაც, მესამე დუმასაც თავს დასტრიალებს და ჩვენ მოპირდაპირეებს კაცურათ აალაპარაკებს ხოლმე.

ეს დღეს არის და რა იყო მაშინ, როცა კაკის ხმა ტრიბუნიდან ისმოდა ეს ყველას ახსოვს. განურჩევლათ მიმართულებისა მაშინ ყველა შეერთდა კ. წერეთლის პიროვნების დაფასებაში და ყველა ნებსით თუ უნებლიეთ ალტაცებას გამოსთქვამდა, მაგრამ ყველა ჩვენგანს ახსოვს ისიც, რომ ჩვენებურ პრესაში ჩვენმა მოპირდაპირეებმა ძალა დააყენეს თავს, რომ რაც შეიძლება ჩვენი ამხანაგის პიროვნება და მისი მოქმედება დაჩრდილული დარჩენილიყო. ეს ფაქტი მეტათ ბრწყინვალეა, მისი ადვილათ დავიწყება, ძლიერაც რომ გინდოდეთ, შეუძლებელია და ამიტომაც აღვნიშნეთ აქ განსაკუთრებით.

საზოგადოთ კი,—წუნი, აუგი და საყვედური, აი რა გაისმოდა ჩვენ მიმართ. თავის თავათ ცხადია, რომ ასეთ ნიადაგზე დამყარებულ კრიტიკას და დაფასებას უნებლიეთ მოჰყვება ფაქტების დამახინჯება და მათი შინაარსის გადაუკუღმართება.

მოიგონეთ მაგალითათ როგორ დააფასა და განმარტა „ამირანმა" ჩვენი ნალაპარაკევი მესამე სათათბიროს პირველ სესიაში პოლონეთის ატონომიის შესახებ. მაშინ ბ-ნი იმერელი ამომრჩეველი ქვეყანას არწმუნებდა, თითქო ჩვენ პოლონეთის ავტონომია ფეხით გავთელეთ და ფურთხით დავფარეთ.

სტენოგრამით ხელში ჩვენ დავამტკიცეთ დაუყოვნებლივ ასეთი განმარტების სრული სიყალბე და უმართებულობა.

კავკასიის შეკითხვის დროს ერთი ჩვენებური პატრიოტული გაზეთი სწერდა: ჩვენდა განსაცვიფრებლათ უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენმა დეპუტატებმა ამ შემთხვევაში მართლაც რაღაც საყურადღებო სთქვესო.

აზრი ასეთი განცვიფრებისა ადვილი გასაგები იყო; გაზეთს ამით უნდოდა ეთქვა: თუ ჩვენმა დეპუტატებმა რაღაც საფარსაგო და სახეირო სთქვეს, ეს მათ უცაბედათ მოუვიდათ, შემთხვევით და მოულოდნელათ მოხდა; არ გეგონოთ, რომ კაი რამეს ლაპარაკი მათი პროგრამიდან გამომდინარეობდეს, მათ თვისებას შეადგენდეს, მათ ჩვეულებათ ქონდესო და სხვა და სხვა.

ერთი სიტყვით, საყვედური და მხოლოდ საყვედური თავიდანვე ჩვენ ხვედრათ გახადეს, მაგრამ არასოდეს არ გვიფიქრია თვით გაზეთ «დროებისათვის» საყვედურზე საყვედურით გვეპასუხნა, რადგან საყვედურით ჩვენ შეგვეძლოა მივმართოთ მას, ვინც ჩვენი იმედი და მოლოდინი არ გაამართლა, ხოლო „დროების" იმედი, როგორც გაზეთის, ჩვენ არასოდეს არ გვქონია და მოლოდინში არ ვყოფილვართ, რომ პატივცემული ორგანო მასალებს და ცნობებს მოგვაწვდიდა და დახმარებას გაგვიწევდა.

მაგრამ „დროებამ" საყვედურიც აღარ იკმარა.

წარსული წლის მე—180 ნომერში პატივცემულმა გაზეთმა ასეთი სიტყვებით მოგვმართა: „როგორ უნდა მიეწოდოს (დეპუტატებს) ცნობები და მასალები, როცა არ იცი, როგორ იქნება მიღებული შენი ცნობები? წარმოვიდგინოთ, რომ ვისმეს სურს მიაწოდოს დეპუტატ ჩხეიძეს მასალა და ცნობები იმის დასამტკიცებლათ, რომ ჩვენში საეროზო ცენზის ერთი ათათ შემცირებაა საჭირო. თუ ისიც იმავ აზრისაა ეროზზე, როგორი აზრისაც ზედა სართულის პუბლიცისტი, **ხომ ცხვირ პირში მოგვაყრის ჩვენ ცნობებს და მასალას**. (ხაზს ჩვენ ვუსვამთ. ავტ.)

როცა ეს ადსარება წავიკითხეთ, ჩვენ უნებლიეთ ვიფიქრეთ: ეს რა ჩაგვიდენია! რა უხერხულ და უხეირო მდგომარეობაში ჩაგვიყენებია პატივცემული გაზეთი! მას თურმე ჩვენი დახმარება სდომია, მასალები და ცნობები ხელთ ჰქონია და მზათ ყოფილა ჩვენთვის მოეწვდინა, მაგრამ ვაიმე რომ არ სცოდნია რა რიგ ვისარგებლებდით ჩვენ მისი დახმარებით!

მკითხველი მოიგონებს, რომ ჩვენ იმ წამსვე მივეშველეთ „დროებას". ჩვენ ვუძღვენით რამდენიმე წერილი ამ საკითხს, მოვაგონეთ მას ჩვენი წარსული სახელმწიფო სათათბიროში და, ვგონებ, საკმაოთ დავამტკიცეთ, რომ ფუჭათ არ ჩავალარებდით და უკულმართათ არ გამოვიყენებდით არც თვით «დროების» დახმარებას და არც სხვისას, ოღონდ—ყოფილიყო კი მომავალში მაინც ასეთი დახმარება.

„დროება" გაჩუმდა. ამ სიჩუმის მოწმე იყო მთელი ადგილობრივი საზოგადოება.

იმ ხანათ ჩვენ ხელთ არ გვქონდა საბუთი, რომ გადაჭრით გამოგვეთქვა მიზეზი პატივცემული გაზეთის დადუმების, თუმცა დიდ საიდუმლოებას ეს მიზეზი არც მაშინ შეადგენდა.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ „დროებისაგან" აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ხელში შეგვრჩა საყვედური, ესე იგი, ის წყალობა, რომელსაც წინეთაც უხვად გვწყალობდა იგი.

შეიძლება ამის შემდეგაც ფიქრობდა ვინმე, რომ „დროება" მომავალში კვლავ მოგვაქცევდა ყურადღებას, მარტო საყვედურებს აღარ იკმარებდა.

მაგრამ ნათქვამია: ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო. იგდო თუ არა ხელთ შემთხვევა (ხერხიანი თუ უხერხული,—ეს სხვაა) მყისვე ჩვეულებრივათ გვკიცხა დარბაისელმა გაზეთმა: დახეთ ჩვენ დეპუტატებს! პარნაუთელ გლეხებს აწიოკებენ და ეს ვაჟბატონები კი, ხან ბუქნას უვლიან ხან ლუარსაბივით ჭერში ბუზებსა სთვლიანო.

ამის გამგონეთ აბა რა გვმართებდა მეტი, რომ ერთხელ კიდევ მოგვეყოლებია ბუკითა და წინწილით საყვედურების მხმობელთათვის, რომ ასეთი მათი საქციელი ჩვენ გაჭირვებულ ყოფას ვერ დაეხმარება.

გ. ჩხეიძე.

(დასასრული ხვალ)

# ახალი ამბები

✦ **თავად ლ. კ. ჯორჯაძის მოკვლა.** 21 მარტს, ღამის 12 საათზე, სასახლის ქუჩაზე, სახლის № 6 მახლობლათ თფილისის საგუბერნიო ციხის უფროსი ზედამხედველი კ. ფ. ივლევი შეეხვდა თფილისში მცხოვრებს, სათადარიგო ჯარის „პრაპორშჩიკ" თავად ლ. კ. ჯორჯაძეს. ჯორჯაძემ ივლევს მეკიხოვნე უწოდა, ისიც დაუმატა თურმე უკეთესია ცოცხალი არ იყოო. ამის გამო მათ „ლაპარაკი" მოსვლიათ. ჯორჯაძემ ივლევს სილა გააწნა. ივლევმა რევოლვერი იძრო და ჯორჯაძეს ზედიზედ ტყვია სამჯერ დაახალა. დაჭრილი მიხეილის საავათმყოფოში წაიყვანეს, სადაც უკვე გარდაიცვალა. ივლევი შეიპყრეს.

✦ **კიდევ ყალბი ფულების შესახებ.** როგორც პოლიციას გაუგია, ამას წინათ შეპყრობილ მეძმარიაშვილთან ახლო დამოკიდებულება ჰქონია ოზურგეთის მოქალაქეს პ. ა. კალატოზოვს, რომელიც უკვე შეიპყრეს. შეიპყრეს აგრეთვე ოზურგეთიდან ჩამოსული ი. ნ. დემუროვი. ამასაც ყალბი ფულების დამზადება-გავრცელება ბრალდება.

✦ **მამა და შვილი—შანტაჟისტები.** 20 მარტს ელისაბედის ქუჩაზე პოლიციამ შეიპყრო აჰიერ კავკასიის რკინის გზის ყოფილი მოსამსახურე ი. გ. გურსკი, 43 წლისა, რომელსაც მუქარის წერილების ბეჭდვა და გზავნა ბრალდება. ჩხრეკის დროს უპოვეს საბეჭდავი ხელსაწყო „გუტენბერგი". უპოვეს აგრეთვე მ. ი. ჟუკოვსკაიას სახელზე გაგზავნილი მუქარის წერილი.—ჟუკოვსკაიასგან გურსკი 15 მ. მოითხოვდა. პოლიციამ შეიპყრო აგრეთვე გურსკის 14 წლის ვაჟი, რომელიც მამას ჟუკოვსკაიასთან გაგზავნა ფულის მოსათხოვათ.

✦ **თფილისის ქართული გიმნაზიის მოწაფეთა საყურადღებოთ.** პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა ხსენებული გიმნაზიის მოწაფეები სასწავლებლის ადმინისტრაციის ნება დაურთველათ არ იკრიბებოდენ სხვადასხვა კერძო პირთაგან გამართულ საღამოებზე, სხვადასხვა გასართობ ადგილებში, მაგალითათ, თფილისის „შრომის ბირჟაში" და სხვაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში დამნაშავენი დაისჯებიან.

✦ **სომხურ გამომცემელ ამხანაგობის** წევრთა კრება შესდგა კვირას, 21 მარტს. კრებამ დაამტკიცა მიმდინარე წლის ხარჯთ აღრიცხვა, რომელიც უდრის 3,800 მ. აირჩია სარედაქციო და სარევიზიო კომისიები.

✦ **საინტერესო წარმოდგენა.** 3 აპრილს სახალხო სახლში გაიმართება საინტერესო წარმოდგენა. რუსულ დრამატიულ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება კარპოვის საინტერესო პიესა „მუშათა უბანი". განზრახული აქვთ სცენაზე მთელი ქარხანა წარმოადგინონ. ამისათვის დრამატიული წრე ფულს ბლომათ ხარჯავს. როგორც ამბობენ, ამ ხარჯის ერთ ნაწილს ქალაქი კისრულობსო. პირველ აპრილამდე შესასვლელ ბილეთების ყიდვა შეუძლია მხოლოდ მუშებს. პირველ აპრილიდან ბილეთებს საზოგადოთ ყველას მიყიდიან.

✦ **კომერციული სასწავლებელი თფილისში.** ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ნება დართო კომერციულ განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას გახსნას თფილისში 8 კლასიანი კომერციული სასწავლებელი.

✦ **სასამართლოების რევიზია.** გადაწყვეტილია კავკასიაში სასამართლოების რევიზია მოახდინონ. რევიზორათ დანიშნულია რეინკე. რევიზია ნაადდგომევს დაიწყება.

**შავი ქვის გაზიდვა.** როგორც სტატისტიკური ბიურო იუწყება, თებერვლის განმავლობაში ჭიათურიდან გაუზიდიათ სულ 4,237,000 ფუთი შავი ქვა. ამ ბოლო დროს, შედარებით შავი ქვის გაზიდვას ძალიან უმატნია.

✦ **გეოგრაფიულ საზოგადოება,** დღეს, საღამოს 8 საათზე, გეოგ. საზოგადოების შენობაში (მოსკოვის ქ. № 3.) დანიშნულია ხსენებულ საზოგადოების წევრთა კრება. კრებაზე წაიკითხავენ მოხსენებას კავკასიის ფაუნის (მცენარეულობის) წარმოშობის შესახებ.

✦ **სამოსამართლო პალატის სესიამ** ნოვოროსიაში უკვე დაიწყო ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაფიცვის შესახებ საქმის გარჩევა. პასუხისგებაში მიცემულია 36 მოხელე. დამცველებათ პეტერბურგიდან მოწვეულნი არიან სოკოლოვი და ზარუდნი.

✦ **ორი ლექცია.** ხვალ და ოთხშაბათს სახაზინო თეატრში ნ. ი. აბრამოვიჩი წაიკითხავს ლექციებს—ხვალ, თავის მკვლელობაზე" და ოთხშაბათს:—„ქალი-ლიტერატურაში და ცხოვრებაში". დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **ხელოვნური ავათმყოფობა.** როგორც გაზ. „ზაკ." ოდესიდან ატყობინებენ, იქ ახლო მომავალში საოლქო სასამართლოში გაირჩევა საქმე ო. სინაურიძის, ა. ვასაძის, პ. და გ. მეტრეველისა, მ. მოსაშვილისა, დ. ხეკიაშვილის და ხ. ბერუაშვილისა, რომელთაც ბრალდებათ მუშათა შორის ხელოვნურათ ავათმყოფობის გავრცელება აირის საშუალებით; ეს იმიტომ, რომ ავათმყოფ მუშებს დახმარება მიეღოთ იმ დაწესებულებისაგან, სადაც ისინი მუშაობენ.

✦ **დარაჯმა თავი მოიკლა.** 20 მარტს არტილერიის საწყობთან მორიგემ დარაჯმა ნიკ. ალ. ტვარჩენკომ, ვინტოვკით თავი მოიკლა. თავის მოკვლის მიზეზი ჯერ არ იციან.

✦ **გურია 18** მარტს, ქალ. ოზურგეთში მოვიდა 60-მდე იმერელ-მეგრელი რომლებსაც უმატებენ და აძლიერებენ ადგილობრივ სტრაჟნიკთა რაზმს.

— დაჭერილ გრ. და ფ. ღლონტს ერთი თვის ციხის შესრულების შემდეგ, გადაუწყვიტეს 3 თვით ციხე. ჩხ-შვილი განთავისუფლეს.

— ს. შემოქმედის მცხოვრები მიხ. ვანიძე, რომელსაც პოლიცია დაეძებდა, ამ დღეებში თავის ნებით გამოცხადდა პოლიციაში.

✦ **სამგლოვიარო წერილი.** დიდათ დაგვამწუხრა ამხანაგ გრიგოლ კალანდაძის უდროვოთ გარდაცვალებამ. ნოე მამალაძე და კალე ჯანბერიძე.

— ვწუხვარ გრ. კალანდაძის უდროოთ დაკარგვის შემდეგ. სტ. პირ. ჯაში.

✦ **გამოვიდა „თეატრის და ცხოვრების" მორიგი, მე-12 ნომერი, რომელშიაც სხვათა შორის მოთავსებულია შ. მესხიშვილის, ი. მაჩაბლიანისა და თამარა გოგოლაშვილის სიტყვები, ქუთეისის და ლეჟან ხიმშიაშვილის გასამართლებაზე წარმოთქმული, აგრეთვე ივ. გომართელის პიესა „დრამ. გამგ. წევრი" და სხ.**

# წერილი რეშტიდან.

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ამ ჟამათ მთელ სპარსეთში და კერძოთ რეშტში დიდი მოძრაობა იწყება რუსის ჯარის სპარსეთში ყოფნის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელ დღეებში ხალხის მღელვარება იმდენათ გაიზარდა, რომ ნიშნათ პროტესტისა, 9 მარტს, „ნოვრუზ ბაირამი" (ახალ წელიწადი), თვისი სამხიარულო დღესასწაული სამგლოვიაროთ გაიხადა. თუმცა ასეთ დროს მგლოვიარობით პროტესტის გამოხატვა, გამოთქმულის სისუსტეს ამტკიცებს, მაგრამ დღეს რომ სპარსეთი სუსტ სახელმწიფოს წარმოადგენს, ეს არავისათვის არ არის დამალული და არც თვით სპარსეთის ხალხი ცდილობს ამას ხელი დააფაროს. 7 მარტს თეირანიდან ტელეგრამა მოვიდა რამდენიმე გავლენიანი მოლის ხელმონაწერი, რომლითაც ხალხს მოუწოდებდენ არ ედღესასწაულათ „ნოვრუზ ბაირამი", სანამ რუსის ჯარი საარსეთში იქნებოდა. 8 მარტს დილა ადრიან ბ. ბაგი გაეშურა ადგილობრივ ენჯუმენის თავმჯდომარესთან, რომელსაც წინადადება მისცა, მოეწვია საპროტესტო მიტინგი, გაეგზავნათ შესაფერი ტელეგრამები სპარსეთის კონსულებისათვის სხვადასხვა ქალაქებში და სახელმწიფოებში, შახისთვის, მეჯლისში და სპარსეთის ქალაქების ენჯუმენთათვის. თავმჯდომარემ იმ დღესვე ენჯუმენი მოიწვია და ხანგრძლივი კამათის შემდეგ, ბაგის წინადადება მიღებული იქმნა გაგზავნილი იქნა შემდეგი ტელეგრამები: „შვიდი წელიწადი ველოდით გვედღესასწაულა ჩვენი ძველებული „ნოვრუზ ბაირამი" (შვიდი წლის განმავლობაში სპარსეთს არ უდღესასწაულია, რადგანაც 5 წლის განმავლობაში „ნოვრუზ ბაირამი" მახარამის დროს მიხვედრია, და ორ უკანასკნელ წელს, სპარსეთში არეულობის გამო), მაგრამ ბედმა არც წელს გვარგუნა მხიარულად შევხვდეთ ჩვენ ისტორიულ დღესასწაულს, არ შეგვიძლია მხიარულად შევხვდეთ ახალ წელს, მაშინ, როდესაც ჩვენი ქვეყანა რუსის ჯარით არის აღვსილი". ასეთი ტელეგრამა გაუგზავნეს, პეტერბურგის, ასტრახანის, ბაქოს, თფილისის, კონსტანტინოპოლის, ბერლინის, პარიზის და ლონდონის კონსულებს. თითქმის ასეთივე შინაარსის ტელეგრამა იყო გაგზავნილი მეჯლისის, ენჯუმენთა და შახის სახელზე. ტელეგრამაში ენჯუმენი მეჯლის სთხოვს, მიმართოს მან ევროპის პარლამენტებს და აცნოს მათ რუსეთის პოლიტიკა სპარსეთში. ამავე დღეს გავრცელებული იქნა მოწოდება, რომელიც მოუწოდებდა ხალხს შეკრებილიყვნენ 9 მარტს „საბზი მოედანზე".

საღამოს ჩვეულებრივ ჩაიარა. არსად არ ისმოდა თოფის ხმა, არსად არ ისმოდა სიმღერა და მხიარულება. ყველას გვიკვირდა,—ნუ თუ, მართლა არ იქნება „ნოვრუზ ბაირამი".

გათენდა 9 მარტი. დუქნები დაკეტილია, ხალხი ქუჩაში თავს იყრის, მათ მკლავებზე სამგლოვიარო ნიშნები აქვსთ და, მსჯელობენ უცხოთა ჯარზე. აგერ, ერთ „დევრიშს" (ბერი) ხელში ფორთოხალი უჭირავს და უნდა თავის ნაცნობს მიულოცოს, მაგრამ უკანასკნელი მას ეუბნება. „არ არსებობს „ბაირამი", სის ჯარი ჩვენშია". 12 საათზე ხალხი რუ„საბზი მოედნისაკენ" მიეშურება. 1 საათზე 4000—5000 კაცი და ქალი თავს იყრის. აქვე გამოჩნდენ შავი ბაირაღებით ხელში მოსწავლე ახალგაზდათა გუნდები დაახლოვებით 300—400. 2 საათზე მოვიდა ენჯუმენი, გუბერნატორის თანაშემწე, პოლიცმეისტერი და ბაღს ირგვლივ შეიარაღებული სარბაზები (სალდათები) შემოარტყეს. მიტინგი გაიხსნა. პირველათ ტრიბუნა პატარა მოწაფეებმა დაიკავეს. პატარა ორატორთა რიცხვი 5-6 იყო. მათმა სიტყვებმა ხალხში მწარე ქვითინი გამოიწვია. მათ შემდეგ ილაპარაკეს 5 სპარსელმა. ამათში აღსანიშნავია ბაგის, და ენჯუმენის თავმჯდომარის სიტყვა. ბაგიმ თავის ვრცელ სიტყვაში ხალხს მოუწოდა ერთმანეთში არ აურიონ სპარსეთში მყოფი უცხო სახელმწიფოს მთავრობის ჯარი და ხალხი...

ენჯუმენის თავმჯდომარემ სხვათა შორის სთქვა: „ჩვენ არ გვინდა უცხოელებთან ცუდი განწყობილება გვქონდეს, მაგრამ თუ ისინი განადგურებას მოგვინდომებენ, მაშინ ჩვენ ვამჯობინებთ სახელოვანათ დავიღუპოთ". საღამო ხანს მიტინგი დაიშალა.

სერგო კლდის-პირელი

# წერილი შირვანიდან.

(დასასრული.)

შარშან ნობელის ფირმამ შეიძინა შემახის მაზრაში, სოფელ ჯენგში, მიწები და შეუდგა თხრას; ამ ჟამათ ორ ადგილას უკვე ამართულია „ვიშკები" და სხვა ადგილას განაგრძობენ კიდევ თხრას. ამას გარდა, სოფ. მარაზაში ბაქოელი სომეხი კაპიტალისტები შეუდგენ კიდევ ნავთის თხრას და ვნახოთ რა იქნება, მაგრამ უფრო დიდი იმედი ნობელის აქვს, რადგანაც, შემახელების აზრით, ისეთი „დიდი ჭკუიანი" კაცი, როგორიც ნობელია, არ შეიძენდა მიწებს და არ გასწევდა ამდენ ხარჯებს, თუ რომ იმედი არ ქონდეს ნავთის აღმოჩენის, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, ნავთის შადრევანის ამოხეთქისაო. და თუ ეს მოხდა, ამბობენ შემახელები, მაშინ მიწის ძვრა შემახაში აღარ მოხდება, რადგანაც ის ძალები, რომელნიც აოხრებენ შემახას, იპოვნიან სხვა ახალ გზას, ახალ მიმართულებასაო.

ვუსურვოთ ეს „ნატვრა"—შესრულებოდეთ შემახელებს!

სხვა ნატვრას შემახელებისას, ნატვრას ერთობ დიდი ხნისას, შეადგენს რკინის გზის გაყვანა ნავაგიდან (ნავაგი სადგურია ბაქო ქიურდამირს შუა) შემახამდის ან შემახიდან ბაქომდის. ნავაგიდან რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ აგერ ოცი წელიწადია რაც გამოკვლევა მოახდინეს, მაგრამ..

მაგრამ და „ВОЗЪ И НЫНѢ ТУТЪ", როგორც იტყვიან ხოლმე რუსები. ამ ორი წლის წინათ ბაქოელმა კაპიტალისტებმა ბაქოდან შემახამდის პირდაპირ ელექტრონის რკინის გზის გაყვანა მოისურვეს. მოახდინეს გამოკვლევა ინჟინერ ჟუნკოვსკის წყალობით, რომლის გამოანგარიშებით ელექტრონის რკინის გზა — ბაქო-შემახა (სამოცი ვერსია) დაჯდება 6 მილიონ მანეთამდის, მაგრამ., მაგრამ ეს პროექტიც ჯერ ორი წელიწადია სამინისტროში დევს!

ახლოვდება დრო, რომელიც ათქმევინებს შემახელებს „ილი პან ილი პროპალ" (ან ბატონობა, ან დაღუპვა). საქმე იმაშია, რომ ბაქოში დამტკიცდა „გრადონაჩალსტვო" და აღიძრა საკითხი ბაქოდან საგუბერნიო დაწესებულების გადატანის შესახებ, რადგანაც „გრადონაჩალსტვოს" შემოღების შემდეგ გუბერნატორს არაფერი საქმე აღარ რჩება ბაქოში. ხოლო კითხვა იმაშია, თუ სად გადაიტანონ საგუბერნიო დაწესებულებანი და თვით რეზიდენცია გუბერნატორისა. სახეში აქვთ ორი ქალაქი: შემახა და კუბა. შემახა ძველი სატახტო ქალაქია ჯერ შირვან შახთა და მერე შირვან ხანთა, როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, მდებარეობს მთელი ბაქოს გუბერნიის შუაგულში, მაშასადამე, შეადგენს დედა გულს, ცენტრს მთელის გუბერნიისას, შეიცავს 30,000 (ოცდა ათი ათასამდე) მკვიდრს, შეადგენს აგრეთვე სავაჭრო ცენტრს ხუთი მაზრისას: ჯევათისა, გეოქჩაისა, ლენქორანისა, კუბისა და თვით შემახის მაზრებისაა. გაშენებულია 2200 ფუტის სიმაღლეზე ზღვის პირიდან და შეადგენს საავარაკო ადგილს, მშვენიერის შეზავებულის ჰაერით და წყლით. ამას გარდა 1859 წლამდის აქ უკვე იყო გუბერნია. კუბა გაშენებულია მთელი გუბერნიის განაპირა მხარეზე ჭაობიან და ციებ-ცხელებიან ადგილზე, შეიცავს 7—8 ათას მცხოვრებთ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ხმა დადის,— ბაქოს გუბერნატორს სურს ქ. კუბაში გადაიტანოს საგუბერნიო დაწესებულებანიო. მეორე მხრით, ამბობენ, ვითომ ნამესტნიკის სურვილი იყოს ბაქოს საგუბერნიო დაწესებულებანი ისევ შემახიში გადმოიტანონ. ნათქვამია, თუ ღმერთი გვწყალობს, ეშმაკები ვერას დაგვაკლებენო, მაგრამ ჩვენ უკულმართ დროში რა არ არის შესაძლებელი! ყოველ შემთხვევაში, **თუ გუბერნიის მკვიდრთა უმრავლესობის ინტერესს მიიღებენ მხედველობაში**, გუბერნია შემახას არ უნდა ასცდეს, ამავე თხოულობენ ჯევათის, გეოქჩაის და ლენქორანის მაზრებიც თავიანთი „პრიგოვორით". რაც შეეხება მიწის ძვრას, რომლისგანაც არ არიან თავისუფალნი ზემოთ დასახელებულნი აზრებიც, უნდა ვთქვათ, რომ ის არც ისე საშიშარია, თუ მივიღებთ მხედველობაში ხის სახლებს, რომელთაც მიწის ძვრა ბევრს ვერას აკლებს; ამ გარემოებას უკვე მიაქციეს ყურადღება შემახელებმა უკანასკნელი მიწის ძვრის შემდეგ და ამ ბოლო დროს სახლებს აშენებენ.

ასეა თუ ისე, მიმდინარე თვეში ან აპრილში მაინც გადაწყდება ეს საკითხი და თუ შემახის სასარგებლოთ გადაწყდა, რასაც აქაური იმედოვნებენ, მაშინ შემახელების ბედს „ძაღლი არ დაყეფს", რადგანაც ამ კითხვის გადაწყვეტას ახლო კავშირი ექნება ბაქოდან შემახამდის რკინის გზის გაყვანის საკითხის გადასაწყვეტათაც.

მიუხედავათ იმისა, რომ შემახაზე ძლიერ გამიგრძელდა ლაპარაკი, საჭიროდ ვრაცხ ავღნიშნო აქაური ქალაქის საავათმყოფოს ყოფილი ექიმი პლოტკინის „საქმენი საგმირონი". საზოგადოთ უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ აგერ ორ წელიწად ნახევარია, რაც აქაური საავათმყოფოს საქმეები აირწა. ერთი სიტყვით, მას შემდეგ, რაც ექიმი ნ. მელიქიშვილი მოშორდა ამ საავათმყოფოს, აირია მონასტერი.

ჯერ იყო და დანიშნეს ექიმათ ვინმე გოლშტეინი, კაცი თუ სული არა, ნახევრად მაინც შერყეული, რომელიც ავათმყოფებს ყვირილით და ლანძღვა-გინებით უმასპინძლდებოდა და ბოლოს მუშტი-კრივიც შემოიღო: სცემა საავათმყოფოს ფარმაცევტის ცოლს ბ—ევისას. ორივე ამ საგმირო საქმისთვის თვე-ნახევრის ციხე მიუსაჯა და სამსახურიდანაც გაძევებულ იქნა. მის ალაგზე დაინიშნა პლოტკინი, „კაცი" ფრიად ლოთი და გარყვნილი.

ეს, უკაცრავათ სიტყვაა, ექიმი მთელი ოცდა ათი საათის განმავლობაში არაყის ყლაპვას ანდომებდა დროს. და რასაკვირველია, მას, როგორც აგრეთს, ე. ი. მუდამ არყით გაჟღენთილს, სხვა სიბინძურეც უღელვებდა ტვინს. ჯერ იყო და ჩააცივდა მოწყალების დას ბინძურის წინადადებით. მაგრამ რაკი ვერ დაიყოლია, სამსახურიდან გააძევა ს—ხოვა, ქალი, რომელიც თავისი მცირე ჯამაგირით (30 მ. თვეში) დახმარებას უწევდა თფილისის გიმნაზიაში მოსწავლეთ თავიანთ პატარა და ძმას.

შემდეგ ჩააცივდა იმგვარის წინადადებით ბებია ქალს მ. კ—ნოვს და რაკი იქაც ვერ „გაიმარჯვა", მ. კ—ნოვისა გადააყვანინა ლენქორანის მაზრაში, ციებ-ცხელებიან ადგილზე. ხ—სოვის ადგილზე დანიშნეს ვლ—სოვა. პლოტკინი არც ამას მოეშვა და შიშმა თუ ადგილის დაკარგვისა, ანუ ბუნების სისუსტემ თუ იმ გარემოებამ, რომ პლოტკინი ქორწინებას პირდებოდა, იმოქმედა და გახდა მსხვერპლი პლოტკინისაგან საზიზღარი დაცინვისა. და როცა ვ—სოვა ფეხ მძიმეთ შეიქნა, პლოტკინმა მოინდომა მისი ადგილიდან დითხოვა და კიდევაც შესძლო.

მისი საჩივარ-დანოსების გამოსაძიებლად მობრძანდა ოთხ დეკემბერს 1909 წელს გუბერნიის ექიმის თანაშემწე აბრამოვიჩი და „გამოიძია" საქმე, ესე იგი, პირდაპირ გამოუცხადა ვ—სოვას დათხოვნილი ხარო, რადგანაც მისი საავათმყოფოში დარჩენა „უხერხულათ" ნახა, რასაკვირველია, პლოტკინისათვის. ვ—სოვამ იმ დღესვე თავი მოიწამლა სულემით, მაგრამ სიკვდილს გადაარჩინეს დროზე მიღებულის საშუალებით, ხოლო მოწამვლის შედეგების მორჩენა სამ თვეზე მეტს გაგრძელდა და ვ—სოვა ამ დღეებში გამოეწერა საავათმყოფოდან.

მოწამვლის დღეს ვ—სოვას უნახეს დაბეჭდილი წერილი, რომელშიაც აწერილი ქონდა ყველა ის საზიზღროება, რაც პლოტკინს მის წინაშე ჩაუდენია და აგრეთვე სხვების წინაშეც. ეს წერილი გადაეცა პროკურორს, პროკურორმა საქმის გარემოება მიანდო ქალაქის გამომძიებელს სლეპკოვს, რომელმაც ამ დღეებში დაამთავრა გამოძიება და დაადგინა სისხლის სამართალში იქნას მიცემული „ექიმი" პლოტკინი.

პლოტკინი დათხოვნილ იქნა სამსახურიდან.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ მიუხედავათ იმისა, რომ თვით აბრამოვიჩის „გამოძიებაც" ამბობს — პლოტკინმა 330 მანათის დახარჯვის საბუთები ვერ წარმოადგინაო, მაინც სამართალში მიცემას არ უპირებდა საექიმო სამმართველო თუ რომ გამომძიებელი არ ჩარეოდა საქმეში, მაგრამ ხომ გაგიგონია: „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო", აქაც ის მოხდა.

პლოტკინის მაგიერ დაინიშნა ექიმი ქალი ჩუდეცკაია, რომელსაც ჯერ-ჯერობით კარგათ მიყავს საქმე.

შროშელი სარდიონ მამალაძე.

ქ. შემახა.

# უკანასკნელი ფოსტა

## ახლო-აღმოსავლეთი

**არეულობა ალბანიაში.** იპეკის ოლქში ალბანელებმა უარი განაცხადეს გადასახადების გაღებაზე. მიტროვიცსა და იპეკს შუა მდებარე გზა ალბანელ რაზმელებს უჭირავთ. ალბანელებმა დაიჭირეს 70 ახლათ გაწვეული ჯარისკაცი.

**შეტაკება საზღვარზე.** ბოლგარეთის ტელეგრაფის სააგენტო იტყობინება, რომ ოსმალეთის ჯარისკაცები თავს დაესხნენ ბოლგარეთის ჯარისკაცებს და სროლა აუტეხეს. არიან ორივე მხრით დაჭრილები და დახოცილები.

სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა სროლა შეეწყვიტათ. ოსმალეთის და ბოლგარეთის აფიცრები ერთათ შეიკრიბნენ ინციდენტის გამოსარკვევათ.

## საზღვარ-გარეთ

**მონარქისტების მანიფესტაცია.** მონარქისტებმა რესპუბლიკის წინააღმდეგ პარიზში დიდი მანიფესტაცია გამართეს. მთავრობამ დაატუსაღა 50 მანიფესტანტი.

**სპარსელები ინგლისში.** ვესტმინსტერში ამას წინათ „მუსულმანთა პროგრესიულმა ძმობამ" მიტინგი გამართა. მიტინგის თავმჯდომარემ სეიდ აბდულ მეჯიდმა დამსწრეთ მოკლეთ გააცნო ისტორია კონსტიტუციის შემოღებისა სპარსეთში. შემდეგ რუსეთ-სპარსეთის დამოკიდებულებას შეეხო და აღნიშნა, რომ რუსეთი ძალიან ცდილობდა სპარსეთში ნაციონალური მოძრაობა ჩაექრო, მაგრამ ეს მან ვერ შესძლოო. აბდულ მეჯიდის სიტყვით, რუსეთმა მთელი სპარსეთის ტერიტორია ჯარებით აავსო, თუმცა ამისათვის არავითარი სერიოზული საბაბი არ ქონდაო. რუსეთმა ბევრჯერ განაცხადა სპარსეთის საზღვრებიდან ჯარებს გავიყვანო, მაგრამ ეს დაპირება დღესაც აუსრულებელი რჩება.

„უტ. როს." გადმოცემით მიტინგზე რეზოლიუცია მიიღეს, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ რუსეთის ჯარების მიერ თავრიზის, ყაზვინის და სპარსეთის სხვა ადგილების დაკავების წინააღმდეგ, და სურვილს გამოსთქვამენ, რომ ინგლისის მთავრობამ ზომები მიიღოს რუსეთის ჯარების სპარსეთიდან გაყვანის შესახებ და სპარსეთის ხელუხლებლობის დაცვისათვის, რომელიც მას მინიჭებული აქვს ინგლის-რუსეთს შორის 1907 წ. დადებული ხელშეკრულობის ძალით.

**სოც.-ბი და რეიხსტაგის პრეზიდიუმი.** „ფორვერტსში" დასტამბულია დეპუტატ ლედებურის (ს.-დ.) წერილი, რომელიც რეიხსტაგის თავმჯდომარეს და მის ორ ამხანაგს პარტიულ მიდგომაში ამხილებს. სოციალდემოკრატიულ ფრაქციას აზრათ აქვს ნაალდგომევს ისევ განაახლოს რეიხსტაგის პრეზიდიუმის წინააღმდეგ ბრძოლა.

**სოციალისტების კონგრესი.** ბუდაპეშტის ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოხდა უნგრეთის სოციალისტთა კონგრესი. დელეგატმა სკარეტმა ენერგიული დახმარება აღუთქვა ავსტრიის მუშათა პარტიას საარჩევნო უფლებისათვის ბრძოლაში.

## რუსეთი

**გუჩკოვის პირველი ნაბიჯი.** სახ. დუმის ახალმა თავმჯდომარემ გუჩკოვმა ახალი წესები შემოიღო მოხსენების მისაღებათ.

აქამდის თავმჯდომარის კაბინეთში თავისუფლათ შესვლა შეეძლოთ ყველა დეპუტატებს და კერძო პირებსაც, ვისაც კი მასთან საქმე ჰქონდა. ამ ჟამათ კი თავმჯდომარის კაბინეთში შესვლა მოხსენების წარუდგენლათ არავის შეუძლია. თავმჯდომარის კაბინეთის წინ ყოველ დღე არის ატუზული 10—15 დეპუტატი, რომელნიც შესვლის რიგს უცდიან.

**შეკითხვა.** სახ. დუმის მუსულმანთა ფრაქციამ შეკითხვა შეიტანა იმის შესახებ, რომ ლეკეთში გაგზავნილი რაზმი, რომელსაც ყაჩაღები უნდა დაეჭირა, ადგილობრივ მცხოვრებლებზე ძალ-მომრეობას ახდენს. მაგ., 9 ოქტ. ჯარისკაცებმა და ყაზახებმა მოკლეს 15 წლის ყმაწვილი შროზა, რომელიც 7 წლის დასთან ერთათ სამუშაოთ მიდიოდა.

**მუშების პროტესტი.** სახ. დუმის ოპოზიციონური ფრაქციების სახელზე მიიღეს შემდეგი წერილი: „სტაროსიულევიჩის სტამბის მუშები მხურვალე თანაგრძნობას ვუცხადებთ სახ. დუმის ოპოზიციას, რომელიც ერთსულოვნათ გამოექომაგა მოსწავლე ახალგაზდობას. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ დეპ. პურიშკევიჩის სამარცხვინო გამოსვლის წინააღმდეგ და აგრეთვე დუმის პრეზიდიუმის მოქმედების შესახებ, რომელმაც თავგასული ბესარაბიელი დეპუტატი არ შეაჩერა და ნება მისცა დუმის ღირსებისათვის სრულებით შეუსაბამო სიტყვები ეხმარა".

**დეპუტატების დაჯარიმება.** სახ. დუმის პრეზიდიუმის დადგენილებით სხდომებზე დაუსწრებლობის გამო 20 იანვრიდან 10 თებერვლამდე დააჯარიმეს შემდეგი დეპუტატები:

მილორადოვიჩი —250 მანეთით, ბორდიგანი—225 მ. ეგოროვი და მასლენიკოვი—50 მანეთით თითო, ვოლკონსკი 2, ვოეიკოვი 1, ოსტროგრადსკი და სალმუსი—25 მ. თითო.

**შანტაჟისტი ციხეში.** პეტერბურგში დაატუსაღეს საპატიმროს უფროსი გლებ კომანსკი. ის ტუსაღებს არწმუნებდა თურმე, რომ ხაზინა საჭირო ფულს არ მაძლევს და სურსათისთვის დანიშნულ ხარჯს ვერ მოგცემთო. ნამდვილათ კი, „რან. უტ." გადმოცემით, კომანსკი ფულს თავის დროზე ღებულობდა და ამ გვარი დატყუებით რამდენიმე ათი ათასი მანეთი შეაგროვა. კომანსკის საქმე საოლქო სასამართლოს გამომძიებელს გადაეცა.

**მემარჯვენეების პროტესტი.** ახლათ ასარჩევ კომისიაში, რომელმაც უნდა განიხილოს ფინლიანდიის შესახებ კანონპროექტი, „რ. ს." გადმოცემით შევლენ ოპოზიციიდან: კადეტ.—ბობიანსკი, როდიჩევი და მილიუკოვი; სოც. დემოკ.—გეგეჭკორი; ტრუდოვიკებიდან —ლიახნიცკი; ოქტომბრისტ.—ბენიგსენი, შუბინსკი, როდზიანკო, კაპუსტინი, კურაკინი და ტენიშევი; ნაციონ. —კრუპენსკი, მემარჯვ-დან—ზამისლოვსკი. პოლონეთის კოლომ თავის „ადგილი დაუთმო კადეტ აჯემოვს. მემარჯვენეები კატეგორიულ პროტესტს აცხადებენ ოპოზიციის წარმომადგენლების კომისიაში შეყვანის გამო, რადგან მათ კომისიის წინააღმდეგ მისცეს ხმა და მთელი კანონ-პროექტიც უარყვეს.

**„სოციალისტური მთავრობა"** გაერთიანებულ თავად-აზნაურთა სიეზდზე ხოტიანცევმა ბრალი დასდო რუსეთის მთავრობას, რომ ეს უკანასკნელი ძალიან გაიტაცა მარქსისა და პრუდონის სწავლამ, რაიცა გამოიხატა მიწის საკითხის პოლიტიკაში. მთავრობას ჯერ კომუნალური აზრები გაყავდა მიწის საკითხში, შემდეგ კი კერძო მესაკუთრეების მოშენებას შეუდგა. მთავრობის მიერ მიღებული ზომები ყველა იქით არის მიმართული, რომ გლეხთა შეერთებული სოციალისტური საზოგადოება დააარსოს. ამ მიზნით მთავრობა აუარებელ ხარჯებს ეწევაო.

# რუსეთის ცხოვრება

## გაერთიანებული თავად-აზნაურობა.

როგორც მკითხველებს მოეხსენება, სულ რამდენიმე წელიწადია, რაც რუსეთის ზოგიერთი გუბერნიების თავად-აზნაურობა შეერთდა. მათ არჩეული ყავთ საბჭო, რომელიც პეტერბურგში იმყოფება. რა კითხვა გაჩნდება რუსეთში ისეთი, რაიც, რასაკვირველია, პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობას შეეხებოდეს, რომ გაერთიანებულ თავად-აზნაურთა საბჭომ და სიეზდმა მასზე თავისი აზრი არ გამოსთქვას და ეს მათი „აზრის გამოთქმა" დიახაც არ რჩება „ხმათ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა", არამედ— დიდი გასავალი აქვს: მთავრობა ყურს უგდებს და ხშირათ ამ „გაერთიანებულთა" სურვილებს ასრულებს. იმის დასახასიათებლათ, თუ რა გავლენა აქვს გაერთიანებულ თავად-აზნაურობას მთავრობაზე, წვრილმანი მაგალითების ჩამოთვლას არ შევუდგებით, ვიტყვით მხოლოდ, რომ მეორე სახელმწიფო დუმის გარეკა, საარჩევნო წესის სამი ივნისის კანონით შეცვლა, ერთი სიტყვით, როგორც ამბობენ, ის სახელმწიფო გადატრიალება, რომელიც იმ დროს მთავრობამ მოახდინა, თურმე ნაკარნახევი იყო გაერთიანებულ თავად-აზნაურთა საბჭოს მიერ. ასეთი დიდი პოლიტიკური აქტის მოხდენაში თუ „გაერთიანებულთა საბჭომ" გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია, თავის-თავად ცხადია, სხვა საკითხებში მის სურვილებს დიდი გასავალი ექნება. ამიტომ ინტერესს მოკლებული არ იქნება ამ „გაერთიანებულთა" ეხლახან გახსნილ მეექვსე სიეზდის ანგარიშები მოკლეთ მაინც გავიცნოთ.

—

სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით თავად-აზნაურთა სიეზდი გაიხსნა პეტერბურგში 14 მარტს. სიეზდს დაესწრო 150 წარმომადგენელი. წაიკითხეს საბჭოს მიერ შემუშავებული უქვემორჩილესი დეპეშის პროექტი. ზოგიერთმა ორატორებმა აღნიშნეს, რათა დეპეშაში აღენიშნათ, რომ სიეზდი მრავალ-რიცხოვანია, „ვინაიდან ამ უკანასკნელ ხანებში დაბეჯითებით ავრცელებენ იმ აზრს, თითქოს თავად აზნაურთა ორგანიზაცია სუსტდებოდეს, იშლებოდესო", მარა სიეზდმა დეპეშაში ასეთი შესწორების შეტანა უარყო. სიეზდს დაესწრნენ სახელმწიფო საბჭოს და დუმის ზოგიერთი წევრნი. გაზეთების გადმოცემით ჯერ-ჯერობით სიეზდმა გაარჩია: საბჭოს მოქმედების ანგარიში წარსული წლისა, სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სათადარიგო თანხის საკითხი, მოხსენება ადმინისტრატიული მართვა-გამგეობის რეფორმისა და კერძოთ, გუბერნატორთა დებულების შეცვლის შესახებ, მოხსენებები—რუსეთის უფლებრივი მდგომარეობის, აზნაურთა საზოგადოებების მიერ თანამდებობის პირთა არჩევის და სახალხო განათლების შესახებ.

საბჭოს წარსული წლის მოქმედების ანგარიშის კითხვის დროს გრაფმა ბობრინსკიმ აღნიშნა, რომ ის ღირსი გახდა უფლათ მოწყალე მიღებისა გაერთიანებულ თავად აზნაურთა მეხუთე სიეზდის შესახებ მოხსენებათა წარდგენის დროს, რამაც მქუხარე ტაშისცემა გამოიწვია დამსწრეთა შორის. აღტაცებით შეეგება აგრეთვე სიეზდი მომხსენებლის განცხადებას, რომ პერმის გუბერნიის თავად-აზნაურობა შემოვიდა ჩვენს ორგანიზაციაშიო.

სააზნაურო საადგილ-მამულო ბანკის სათადარიგო თანხის შესახებ მოხსენების განხილვის დროს ილაპარაკა თავ. უხტომსკიმ, რომელმაც განაცხადა, რომ დიდი ნაწილი სათადარიგო თანხისა ამ უკანასკნელ ხანებში უკანონოთ დაიხარჯაო, რამაც დიდი კამათი გამოიწვია. კამათი უფრო გამწვავდა, როცა შეუდგნენ სააზნაურო ბანკში დასაგირავებელი მამულების შეფასებითი წესების შეცვლის მოხსენების განხილვას. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ შეფასება არ სწარმოებს კანონიერათ და ამიტომ ვიშუამდგომლოთ ფინანსთა მინისტრის წინაშე შეცვლილ იქნას სააზნაურო ბანკის ინსტრუქციაო. სათავად-აზნაურო ბანკის მოქმედების წინააღმდეგ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა გრაფმა კუშელევმა. მან, სხვათა შორის, სთქვა, რომ თავად-აზნაურები სრულ-უფლებიანი მოქალაქენი ვართო და ყველაფერში დამნაშავენი არიან მოკადეტო თავად-აზნაურნიო. როდესაც ჩვენ საშუალება გვეძლეოდა მიწების გაყიდვისა, მაშინ მთავრობამ თავისი ბანკებით ხელი შეგვიშალა — მიწებს ფასები დაუწია, რითაც დიდი ზარალი მიაყენა როგორც წოდებას, ისე სახელმწიფოებრიობასაც, რის მატარებელნი მხოლოდ თავად-აზნაურები არიანო. უფრო მკაცრათ შეეხო მთავრობის მოქმედებას თავ. ხოტიანცევი. მან სთქვა: სათავად აზნაურო ბანკი წოდებრივი დაწესებულება არ არის, რომლითაც მთავრობა სარგებლობს ჩვენი წოდების ინტერესების დასაცავათ კი არა, არამედ — იცავს გლეხების ინტერესებს. ყველაზე უფრო მსხვილი მესესხეები სათავად-აზნაურო ბანკისა არის საგლეხო ბანკი. ასე რომ, ჩვენ ვმუშაობთ სხვისთვის და არა თავისთვისო. ილაპარაკეს სხვა ორატორებმაც. დასასრულ სიეზდმა გამოიტანა განაჩენი, რომლითაც სურვილს გამოსთქვამს ბანკის ინსტრუქციის შეცვლის შესახებ, მიუხედავათ იმისა, რომ ა. პახიდიძევი არწმუნებდა სიეზდს, — საბჭოს სარწმუნო წყაროებიდან აქვს გაგებული, მთავრობა ამ ჟამათ პროექტს ამზადებს, რათა თავად-აზნაურთა სასარგებლოთ შესცვალოს ბანკის ინსტრუქციაო.

დიდი კამათი გამოიწვია გუბერნატორთა დანიშვნის დებულების საკითხმა. ამ საკითხის შესახებ სამინისტროს შედგენილი აქვს თავისი პროექტი, რომელსაც არ ეთანხმებიან თავად-აზნაურნი. ჯერ კიდევ მე-5 სიეზდზე განაცხადა შარკოვმა მეორეთ, რომ სამინისტროს პროექტი გუბერნატორთა შესახებ უვარგისიაო. ეხლანდელი დებულების ძალით გუბერნატორები პირდაპირი დამცველები არიან თვითმპყრობელობის უზენაეს უფლებათა ხელშეუხებლობის, ახალი პროექტით კი — მთავრობის უფლებათა უბრალო აღმასრულებელნი არიანო. შარკოვის განცხადება გაიზიარა საბჭოს და მისი განხორციელება შესაძლებლათ ვერ უცვნია. საბჭოს ასეთ ხაზს ამ საკითხში სიეზდი არ შეეგება თანაგრძნობით. აბა, მოიგონეთ, — განაცხადა იაროსლავის ყოფილმა გუბერნატორმა რიმსკი-კორსაკოვმა, — როგორ დროში ვცხოვრობთ. დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც სახელმწიფო დუმამ უქვემორჩილეს ადრესიდან სიტყვა „თვითმპყრობელობა" ამოაგდო. ამ დღეებში დუმის ახალმა თავმჯდომარემ კი აშკარათ განაცხადა, რომ ის კონსტიტუციონურ-მონარქიული წყობილების მომხრეა. თავად-აზნაურობამ ხმა უნდა ამოიღოს ამის შესახებ. ჩვენ უნდა განვაცხადოთ, რომ მომხრენი ვართ თვითმპყრობელობისა და არავის ნებას არ მივსცემთ თვითმპყრობელობას ასე შეეხოს. ორატორი ხანგრძლივი ტაშისცემით დააჯილდოვეს. ერთი ორატორი შეეცადა დაემტკიცებია, რომ სამინისტროს პროექტი გუბერნატორების შესახებ არსებულ წესწყობილების საფუძველს არ სცვლისო, მარა მას არ მოუსმინეს. გრაფმა კუშელევმა განაცხადა, რომ საჭიროა თავად-აზნაურობას მიენიჭოს უფლება რათა ადმინისტრატიულ დაწესებულებებს კონტროლი გაუწიონო. გოლოვინმა სთქვა, რომ სამინისტროს პროექტი თავად-აზნაურთა გავლენას აქარწყლებს და აძლიერებს ბიუროკრატიის გავლენასო. გულზე ხელს იცემს და ისე ლაპარაკობს, მეტათ აღელვებული, სახელმწიფო საბჭოს წევრი უშაკოვი. ის ამბობს: „როცა თვითმპყრობე-

დობაზე ლაპარაკობენ, არ შეუძლია თავად-აზნაურობას ხმა არ ამოიღოს. „მოსკოვის მოქალაქემ“ (გუჩკოვმა) საქვეყნოთ აღიარა, რომ ის კონსტიტუციონურ-მონარქიულ პრინციპებს აღიარებს. მოიფიქრეთ, ბატონებო,— ასეთი რამე უნდა წამოროშონ იმ გვარ დაწესებულებაში, როგორიც სახელმწიფო დუმაა! ჩვენ იმ ხანაში ვცხოვრობთ, როცა თვითმპყრობელობა ალყა შემორტყმულია და ყოველი მხრიდან მასზე მისასვლელ ხვრელებს სთხრიან. კონსტიტუცია რუსული სიტყვა არაა, ეს უცხო სიტყვაა. რუსის გლეხი არ წარმოსთქვამს ამ სიტყვას და რუსეთში ამ სიტყვის წარმოთქმა, მეტი რომ არა ვთქვათ, უტაქტობაა. (კრებიდან მოისმის ხმები: „უტაქტობა კი არა,—„სიბრიყვეცაა“, „თავხედობაა“). იმის თქმა, რომ მე მეფის მსახური ვარ, ჩემთვის სიამაყეა, ამპარტავნობაა, მარა მინისტრთა მსახურათ ყოფნა კი—გერ მოკართვით, (მქუხარე ტაშისცემა). შემდეგ უბრუნდება რა უშაკოვი „მოსკოვის მოქალაქის“ სიტყვას ამბობს, რომ კონსტიტუციაზე ლაპარაკი რუსეთში ნიშნავს „ხალხის სინიდისის სამასხროთ აღებას“. წადი და უთხარი რუსის გლეხს: კონ-სტი-ტუ-ცი-ა, ის ვერაფერს გაიგებს და თუ გაიგო,—შეგეკითხება: სამი ივნისის კანონს ეს კონსტიტუცია არ დაურღვევია?..

რუსეთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ მოხსენება წაიკითხა გოლოვინმა. ორატორმა ხსენებულ საკითხს დაუკავშირა 1909 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. მან ხაზ-გასმით აღნიშნა შემოსავალ-გასავლის უთანასწორობა და ის აზრი გამოსთქვა, რომ აუცილებლათ საჭიროა ზოგიერთი სახაზინო რკინის გზების, ტყეების, სახაზინო ქარხნების და სამკურნალო წყლების იჯარით გაცემაო. ამას გარდა საჭიროა დაწესებულ იქნას გადასახადი ხუთი მანეთიდან ორმოცდაათ მანეთამდე იმ პირებზე, რომლებიც სამხედრო ბეგარისაგან იქნებიან განთავისუფლებულნიო. სახელმწიფო დუმის წევრმა ციტოვიჩმა დაიწყო იმის მტკიცება, რომ ყოველივე პროექტი გადასახადთა სისტემის შეცვლის შესახებ ჩვენი ჯიბეების წინააღმდეგ არის მიმართულიო. ამ მხრით სახელმწიფო დუმა ჩვენს ინტერესებს არ დაიცავს. გაერთიანებულმა თავად-აზნაურობამ უნდა მიმართოს მის მახლობელს—სახელმწიფო საბჭოს—დახმარებისათვისო. მან აღნიშნა, რომ საკანონმდებლო დაწესებულებებში არიან ისეთი პირნი, რომელთაც არ ესმით რას ნიშნავს გადასახადთა სისტემის შეცვლა და შემოსავლის კვალობაზე გადასახადის დაწესება. ამიტომ ასეთი წევრნი, უნდა ვეცადოთ, არ იქნან ხელახლა არჩეულნიო. დასასრულს სიეზდმა მიანდო საბჭოს შემდეგისათვის წარმოადგინოს ხსენებული საკითხის შესახებ დასაბუთებული მოხსენება.

თავად-აზნაურთა საზოგადოების მიერ თანამდებობის პირთა არჩევის შესახებ მოხსენებამ, მოულოდნელათ, დიდი კამათი გამოიწვია. მომხსენებელმა განაცხადა, რომ ვინაიდან ეს კითხვა ეხება პირდაპირ წოდებრივ ინტერესებს, გვეგონა, საჭირო იქნებოდა მის შესახებ უმაღლესი შუამდგომლობის აღძვრა, მარა დაგვარწმუნეს, რომ შეიძლება კითხვა საკანონმდებლო დაწესებულებებში გატარდესო. ამ წინადადებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია დამსწრეთა შორის. მარკოვმა მე-2 განაცხადა: ეხლა ისეთი დრო არაა, რომ საკანონმდებლო დაწესებულებებში თავად-აზნაურობის შესახებ რაიმე პროექტები შევიტანოთ: ამ დაწესებულებებიდან ზარალის მეტს არაფერს არ უნდა მოველოდეთ. (ხმები: მართალია). სახელმწიფო დუმის წევრი ნოვიცკი აცხადებს, რომ თავად-აზნაურობა ვერ ენდობა მათდამი მტრულ განწყობილებაში მყოფ პარტიებს; დუმაში პროექტის განხილვა მემარცხენეების ამხედრებას გამოიწვევს ჩვენს წინააღმდეგ,—შეიქნება ერთი აურზაური. ჩვენთვის კი საჭიროა მოსვენებით ვიყოთ—არავინ შეგვაწუხოს, რომ ჩვენზე რაც შეიძლება ნაკლები ილაპარაკონ. ჩვენ შესახებ რომ დუმაში პროექტი შევიტანოთ, მტრები იტყვიან, რომ ჩვენ დავსუსტდით, ვცდილობთ ახალი კანონებით წამხდარი საქმეების გამოკეთებას და სხ... დასასრულს მომხსენებელი აღელვებული ხმით აცხადებს, რომ მარკოვის გავლენით მას უკანვე მიაქვს პროექტი, ვინაიდან გაიგო, რომ „დუმისაგან ტალახის სროლის მეტს არაფერს არ უნდა ველოდეთ“-ო.

სახალხო განათლების შესახებ მოხსენების განხილვამაც დიდი კამათი გამოიწვია. თავმჯდომარის წინადადებით ერთხმათ მიღებულ იქნა წინადადება, რათა სამოსწავლო საბჭოებში არსებული წესი, თავად-აზნაურთა წინამძღოლების თავმჯდომარეობის შესახებ, დატოვებულ იქნას. გოლოვინმა საკითხი აღძრა, რათა ამა თუ იმ მემამულე-აზნაურის მეზობლათ მდებარე სკოლა მისივე განკარგულებაში დარჩეს,—ვინაიდან ეს არის ერთად ერთი საშუალება, რომ შეიძლა ვიხსნათ სახალხო მასწავლებელთა გამრყვნელ გავლენისაგანო. შემდეგ მოისმინეს მოსკოვის მაზრის მარშლის მოხსენება მაზრაში სწავლა-აღზრდის საქმის შესახებ. ბევრმა ორატორმა აღნიშნა, რომ გლეხები ზნეობრივი მხრით რაც დრო გადის, ეცემიან. ამაში დამნაშავენი არიან უმთავრესათ მასწავლებლები და სამღვდელოება; სამღვდელოებას არავითარი გავლენა აღარ აქვს მრევლზე. მოხსენება ამის შესახებ გადასცეს განსახილველათ თავად-აზნაურთა საგუბერნიო კრებებს.

# პროვინცია

**აბედათის საზოგადოება,** (სენაკის მაზრა). აბედათის საზოგადოება სამ სოფლიდან შესდგება: ჯოდო, აბედათი და ყვაუთიდან, მცხოვრებთა რიცხვი ცხრაას კომლს აღემატება. ხალხი დიდ სიღარიბეს განიცდის. ამ საზოგადოების სარჩო-საბადებელი მიწა ორი-სამი პირის ხელშია ერთად-ერთი მამული „მარსილჭალა“ იყო მცხოვრებთათვის, როგორც მასაზრდოებელი ისე საბალახოც. ეს მამული სივრცით რამოდენიმე ვერსია. უხსოვარ დროიდან ამ მიწის ბატონ-პატრონი თვით მცხოვრებნი იყვნენ და მხოლოდ რაღაც უფლებით ადგილობრივ მემამულეს „მონდი“-ს სახელით მე-10-დს ნაწილს აძლევდენ. რამოდენიმე ათ წლების წინედ მემამულეს წინაპრების საჩივარი ქონდათ ამ მამულის შესახებ და სურდათ მისი სრულიად ხელში ჩაგდება, მაგრამ ისე ადვილი არ დარჩა. დღემდისაც კანონიერი გზით არ ქონდათ ჩაბარებული. ხალხმა საჩივარი აღძრა.

მემამულემ, რაკი დაინახა, რომ მამულის კანონიერათ ჩაბარება უფრო ძნელი იყო, ვიდრე ძალით მისაკუთრება, ადგილობრივ «ძალთა» დახმარებით ბერდანკების „პრიკლადებით“ გადარეკეს გლეხები და ძალით ჩაიბარეს მიწა, ხალხი ახმაურდა. მიმართეს ადგილობრივ ადმინისტრაციას, მაგრამ გულუბრყვილო ხალხი სხვადასხვა გვარი მუქარით ჩააჩუმეს. ამ მამულის პატრონი (კ. დ-ს. მემკვიდრეები არიან. ამათი წყალობით ამ საზ. მცხოვრებნი ძლიერ შევიწროებული არიან. გაივლის თუ არა გლეხის საქონელი „მარსილი“-ს მინდორზე, მემამულეს «თავლაში» ამოყოფს თავს და თუ ფული არ გადაიხადა ისე არ უბრუნებს. ამ დღეებში ძლიერ გულკეთილობა გამოიჩინა მემამულემ ადგილობრივ. მამასახლისის დახმარებით: თვითოეული გლეხი, საქონლის მინდორში გაშვებისათვის, ხუთ-ხუთ მანეთის მოხარკეთ გახადა. ვისაც არ შეუძლია უკანასკნელის გადახდა, მას არც შეუძლია საქონლის ყიდვა. ესეც მცირეა. მემამულეს ქვრივმა გადასწყვიტა ამ მამულის გაყიდვა და მოახდინეს რჩევა. საზოგადოების «ავტორიტეტიანი» პირები მოისყიდეს, რომლების რჩევით გლეხები, მხოლოდ მამასახლისის თანდასწრებითი პირობის ძალით, ჯერ ძალით წართმეული და მეორეთ მცირე წლოვანთა მამულს ყიდულობდენ. გასაოცარია სწორეთ მცირე წლოვანთა მამულის გაყიდვა ასეთი უბრალო შინაური პირობით, მაგრამ აქ სრულებით მართლდება ხალხური თქმულება: „სოფელი ვნახე უძაღლოდ შიგ გაიარე უჯოხო“-ო. არ აღმოჩნდა ამ საზოგადოებაში არცერთი გულშემატკივარი ადამიანი, რომელსაც მიეცა მცხოვრებლებზე დარიგება და გაეთვალისწინებინა, რომ ამგვარი ყიდვა-გაყიდვა უბრალო წყლის ნაყვა და ფულის უბრალოთ გადაყრა არის. უმჯობესია მარჩენალ საქონელს არ გაყიდიან და მთლად არ დაიღუპებოდენ.

ზაფრანა.

**მუხიანის რაიონი.** პატრიკეთის საზოგადოებაში ტყაჩირსა და ოფშქვითის ახლო მდებარეობს სახელმწიფო ანუ „დედოფლის“ მამულები. დიდი ხნიდან ამ ადგილებს აქაური უმიწა-წყლო გლეხობა იღებდა სამუშაოთ და ქცევაში 2—3 მანეთს იხდიდა. წელს კი ახალმა მოურავმა მარკოზა სანებლიძემ გაადიდა საიჯარო ფასი 10 მანეთამდი. ღარიბებმა 10 მანეთი ვერ მისცეს, დარჩენ უადგილოთ და მიმართეს უკიდურეს ზომას: ახალ მოიჯარადრეებს დაუჩხეს კავ-ულელი, რასაც მოყვა რამდენიმე ახალგაზდების დაჭერა. მოსალოდნელია ახალსა და ძველ მოიჯარადრეებს შორის შეტაკება.

**სოფ. ოფშქვითი.** ქუთაისის გუბერნატორის მიერ მომხმარებელი საზოგადოების წესდების დამტკიცების შემდეგ, შესდგა დამფუძნებელ წევრთა კრება, რომელმაც აირჩია გამგეობა და სარევიზიო კომისია. საზოგადოება დუქანს ხსნის 1 ივლისს. საზოგადოება დაკავშირებულია მოსკოვის მომხმარებელთა კავშირთან. კერძო მედუქნეებმა ერთი განგაში ასტეხეს საზოგადოების წინააღმდეგ და საქონელს ფასები მოაკლეს. უმრავლესობის სიმპატია საერთო დუქნისაკენაა და მედუქნეების ხრიკები მას ვერას დააკლებს. საჭიროა გამგეობის ყველა წევრების ენერგიული მოქმედება საქმის რიგიანათ წასაყვანათ.

— აქაური შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის ანგარიშის გამოქვეყნებას დიდი ხანია, ველით, მარა გამგეობა სდუმს. როგორც გავიგეთ ზოგიერთი ვაჭბატონები მოწადინებულია ბანკის დახურვას იმ დროს, როცა სხვაგან სცდილობენ ასეთი კასების დაარსებას.

**ს. საყულია.** მთელს საზოგადოებაში სამი სკოლაა: ორი ორკლასიანი და ერთი ერთკლასიანი. მასწავლებლები და მზრუნველები მთავრობას სთხოვენ დახმარებას, რომ ქვის შენობები ააგონ. გლეხობას დღევანდელს პირობებში მარტო, თუ სხვას წოდებაც არ დაეხმარა, ქვის შენობის აგება არ შეუძლიათ და მთავრობა კი იმდენს რას მისცემს. ამოდენა საზოგადოებაში არც სამკითხველო და არც საკვირაო სკოლაა; გაზეთიც თითო-ოროლა პირს აქვს გამოწერილი. მასწავლებლები მოვალენი არიან იზრუნონ სამკითხველოს, საკვირაო სკოლის, ან საღამოს კურსების დაარსებაზე.

**სად. მუხიანი.** სამკითხველოს სამზრუნველო გულ-გრილათ ეკიდება თავისმოვალეობას; დღიდან არჩევისა კრებაც არ მოუწვევიათ. სამკათხველო ცუდ მდგომარეობაშია; წევრები ცოტა ყავს, საწევრო ფული ამ წელში თითქმის არავის შემოუტანია.

— საამდროვო წიგნების გამომცემელ ამხანაგობის „ვარსკვლავი“-ს და სამკითხველოს გამგეობის რამდენიმე წევრთა თაოსნობით რაიონის სკოლების მასწავლებლებს წინადადება მიეცათ „ჯეჯილი“-ს იუბილეს აღსანიშნავთ გამართონ ლიტერატურული დილა, ან საღამო და ყველა სკოლამ გამოიწეროს ამ წლიდან „ჯეჯილი“. დილის დაწვრილებითი პროგრამის შესადგენათ საჭირია რაიონის მასწავლებელთა შეერთებული კრება. იმედია ყველა მასწავლებელი დაესწრება კრებას და გამოიმუშავებენ საერთო პროგრამას.

სხიცშვილი.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! *) გაზეთ „დროების“ მე—70 ნომერში დასტამბულია რედაქციის წერილი იმ 50 მანეთის გადაუხდელობის შესახებ, რომელიც მას ერგებოდა შარშან აპრილში ჩემგან გამოგზავნილის ამომრჩეველ აზნაურთა სიის გაზეთში მოთავსებისათვის. სწორეთ მადლობის ღირსია „დროების“ რედაქცია ასეთის სულგრძელობისათვის! თითქმის წელიწადი გადის, როგორც აღნიშნავს რედაქცია, არც ფული მიუღია და არც პასუხი რამ, არა ერთ გზის მისგან გაგზავნილ წერილებსა და დეპეშებზე, მაგრამ მაინც დაგვზოგა, დღემდის არ გვისაყვედურა. მეორეს მხრით კი საყურადღებოა ის, რომ გაზეთ „დროების“ მე—70 ნომერში მოთავსებული საყვედური ჩვენის უსმენელობის შესახებ ასე უცბათ თან მოჰყვა იმ გრძელ წერილს, რომელიც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა არჩევნების გათავებისათანავე, რომელზედაც მე ამორჩეული ვარ გუბერნიის მარშლის თანამდებობაზე უფროს კანდიდატათ და რომელიც გაზეთ «დროების» რედაქციამ, როგორც სჩანდა დიდის სიამოვნებით სავსებით დაბეჭდა თავის გაზეთის ფურცლებზე და მით თანაუგრძნო ჩემდა ქება-სადიდებლათ და თავისებურათ აღნიშნავს ჩემის 22 წლის საზოგადო სამსახურისას და მხარი დაუჭირა ყოველის მხრით სიმართლეს მოკლებულს „იმერელ ამომრჩევლის“ წერილს. როგორც არა მისი სასურველი კანდიდატი არც ერთს საზოგადო სამსახურში, „იმერელი ამომრჩეველი“ ცდილობს თავისებურათ გააცნოს მკითხველ საზოგადოებას ჩემი 22 წლის საზოგადოებისადმი სამსახური, რომელიც შეეხება არა მარტო ჩემს მარშლობას, არამედ—ბევრს სხვა საზოგადო დაწესებულებასაც, რომლებშიაც მე ვმსახურებ განურჩევლათ წოდებისა, ხალხის ამორჩევით და სურვილით.

მე პასუხს არ გაძლევ „იმერელ ამომრჩეველს“ მის წერილებზე და არც მივცემ, რადგანაც ვიმედობ და წინათ გრძნობანიც მეუბნევა, რომ შორს არ არის ის დრო, როცა სიტყვანი და საქმენი ჩემნი გამოაჩენენ მას და მის სიმართლით და ნიადაგნით მოღვაწეობას ქართველი ერის წინაშე.

რაც შეეხება 50 მანეთის მიუზღველობას რედაქციისადმი სიის დაბეჭდვისათვის, ეს უნდა იყოს ერთად-ერთი, როგორც რუსები იტყვიან, „ნედორაზუმენიე“-ს შედეგი. მე თვითონ შარშან მაისიდან მძიმე ავათმყოფობის გამო წყლებიდან-წყლებზე ვმოგზაურობდი საქიმოთ. დაბრუნების შემდეგ მალე აზნაურობისაგან გაგზავნილი ვიყავი სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩევლად პეტერბურგში ყოველს წერილებს და ქაღალდს, რომელიც ამ დროს მოდიოდა ჩემს სახელზე და შეეხებოდა სამსახურის საქმეს, დებულობდა დეპუტატთა საკრებულო, რომლის მდივნის თანაშემწეს დავალებული ქონდა ჩემგან გამოეგზავნა ხვედრი ფული რედაქციისათვის იმ ფულებიდან, რომელსაც ყოველწლიურათ აძლევს დეპუტატთა საკრებულო მაზრის მარშალს კანცელიარიის ხარჯებისათვის. თუ ეს ასე არ მომხდარა და მასთან დეპეშებზე და წერილებზე პასუხიც არ მიგიღიათ, ბოდიშს ვიხდი რედაქციის წინაშე და თფილისიდანვე, სადაც ერთი კვირაა, შეიძლება რედაქციამაც იცოდეს, ვიმყოფები, მოვახდენ განკარგულებას გამოეგზავნოს რედაქციას ის ფული და მით თავიდან ავიშორო ჩემს უსმენელობაზე ასე მიუხედავათ და ულმობელათ ლაპარაკი! დავით ნიჟარაძე.

P. S. ეს წერილი გავუგზავნე „დროების“ რედაქციას დასაბეჭდათ, მაგრამ უარი მიუთ და არ დამიბეჭდა. დ. ნ.

*) ვბეჭდავთ ამ წერილს ავტორის თხოვნით, რომ მით პასუხის საშუალება მივცეთ. რედ.

## ღია წერილი

**ქალ. ტფილ. წყლის საყვანის გამგეს ბ-ნ ინჟენერ ზ. ქურდიანს.**

მე და თქვენ შორის მომხდარი „ინციდენტის“ შესახებ თქვენ წარსული წლის, 14 დეკემბერს მიეცით «რაპორტი» ქალ. თვით-გამგეობის წევრს ბ-ნ ა. ი. ხატისოვს, სადაც მე თქვენ მდებთ მძიმე და იმავ დროს უსაფუძვლო ბრალდებებს. თქვენს რაპორტზე მე ჩემი პასუხი წერილობითი წარვუდგინე გამგეობის იმავ წევრს ამა წლის 4-ს თებერვალს, სადაც მე ვამტკიცებ თქვენგან ჩემს წინაამდეგ წამოყენებული ბრალდებების უსაფუძვლობას და ჩემის მხრივ გიყენებთ ბრალდებებს, რომელთაც საზოგადო ხასიათი აქვს, თქვენ, ჩემმა, თქვენ რაპორტზე გაცემულმა პასუხმა იქამდინაც კი მიგიყვანათ, რომ შეთხზეთ ისეთი რამ, რასაც ჩემს პასუხში ადგილი არა ქონია. ამიტომ მე იძულებული ვარ ყოველივე იმის სავსებით გამოსარკვევად, რამაც გამოიწვია ჩვენს შორის მომხდარი „ინციდენტი“ და ყოველივე იმის შემოწმება დასაფასებლად, რაც მოხდა ან ითქვა ამ „ინციდენტის შემდეგ, გამოგიწვიოთ სამედიატორო სამართალში სადაც დაგიმტკიცებთ ყოველივე. იმას, რაშიაც მე თქვენ ბრალსა გდებთ იქვე გამოვააშკარავებ და დავამტკიცებ თქვენგან ჩემს წინაამდეგ წამოყენებული ბრალდებების უსაფუძვლობას. გიწვევთ და გაძლევთ ხუთი დღის ვადას, დღიდანგაზეთში ამ წერილის დაბეჭდვისა, გაზეთითვე მაცნობოთ თანახმა ხართ თუ არა სამედიატორო სასამართლოსი.

დ. ხარტიშვილი.

რედაქტორ-გამომც. მ. არველაძე.


განცხადება

კბილის საექიმო კაბინეთი

იოსელისა

(„გაუფრთხილდით კბილებს“ ავტორის, ფასი 15 კ.) კბილების აქიმობა, ღრძილების, ძირების და პირიდან ცუდი სუნის. ხელოვნური კბილების ჩასმა. მიხაილოვის ქუჩა, 124, კბილის საექ. სკოლის გვერდით. (100—34)

ქუთაისში

კიწმარაშვილის და ამხანაგობის

თესლეულობის

მაღაზიაში

მიღებულია სხვადასხვა ახალი ბოსტნეულობის, ყვავილის და ბალახების: იონჯის, სამყურის და კონიდრის თესლეულობა.

აქვე იყიდება საგანგებოთ დამზადებული ძმების პასხალიდის თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ ეგზავნებათ სურათებიანი კატალოგი უფასოთ. (25—10)

1-ლი კავკასიის დეპო თესლეულობისა

ლარმესი

არსებობს 1872 წლიდან

№ 10 მიხაილოვის პროსპ. № 10

იყიდება

ახალი მოსავლის

თესლეულობა

გამოცდილი კარგის თვისებისა:

ბოსტნისა, ბალახისა და

ყვავილებისა, ხეებისა.

და საუკეთესო საკვები კანარეიკებისათვის კარგული გირვანქა ღირს 25 კაპ. (10—6)


მატარებლების მიმოსვლა

15 ოქტომბრიდან 1909 წ.

საათები აღნიშნულია თფილისის დროზე.

**თფილისიდან გადის**

**ბაქოსკენ:** საფოსტო № 4, 11 ს. 40 წ. საღ., სამგზავრო № 6, 8 ს. 11 წ., დილით სამგზავრო № 12, 10 ს. 11 წ. საღ., შერეული მე-IV კლასის ვაგონებით № 106, 7 ს. 3 წ. დილით.

**ბათუმისკენ:** საფოსტო № 3, 9 ს. 42 წ. დილით; სამგზავრო № 5, 1 ს. ღამით; სამგზავრო № 7, 8 ს. 10 წ. საღამოს; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით, 4 ს. 28 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**ბაქოდან:** საფოსტო № 3, 8 ს. 42 წ. დილ., სამგზავრო № 5, 12 ს. 11 წ. ღამით; სამგზარო № 11, 10 ს. 47 წ. დილ.; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 107 3 ს. 16 წ. დღით.

**ბათუმიდან:** საფოსტო № 4, 10 ს 40. წ. საღამოს; სამგზავრო № 6, 7 ს. 21 წ. დილით; სამგზავრო № 8, 12 ს. 17 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 106, 5 ს. 53 წ. დილით.

**თფილისიდან გადის**

**მაიხილოვში:** სამგზავრო-საქონლის № 9, 3ს. 23 წ. დღით.

**თფილისში მოდის**

**მიხაილოვიდან:** სამგზავრო-საქონლის № 10 8 ს. 23 წ. დილით.

**ყარსის გზაზე**

**თფილისიდან გადის:** საფოსტო № 74/75 ჯულფაში, 1 ს. 37 წ. ღამით; სამგზ.-საქონლის № 72/79 ერევანში, 4 ს. 20 წ. დღით; შერეული მე-IV კლ. ვაგონებით № 10 109, ალექსანდროპოლში 5 ს. 8 წ. დღით.

**თფილისში მოდის:** საფოსტო № 72/73 ჯულფიდან 6 ს. 19 წ. დილით; სამგზავრო საქონლის № 80/81 ერევნიდგან 6 ს. 44 წ. საღ.; შერეული მე-IV ლვ. ვაგონებით № 110/111 ალექსანდროპოლიდან ღამით 4 ს. 48 წ.


ქ. ბათუმში

ავეჯეულებისა და ჭურჭლეულობის

მაღაზია

კ. ა. მაჭარაძისა და კ. ა. ჭეიშვილის

დონდუკოვ-კორსაკოვის ქუჩა 21.

მაღაზიაში მუდამ არის დიდის არჩევით ყოველგვარი, ფარფორის, ფაიანის, ემალის და ნიკელის ჭურჭელი, საზღვარ-გარეთელი და რუსეთის ლამპები, ბროლისა და შუშის ნაწარმოებნი, ყოველნაირი სპილენძის და ნიკელის სამოვრები, ბრინჯაოს ნაწარმოებნი, ნავთისა და თუჯის ფეჩები, სამზარეულოს და სტოლის სხვა და სხვა მოწყობილობა და ყოველნაირი საოჯახო ნივთეულობა. „ლინოლეუმები“, „კლიონკები“ და ლითონის გვირგვინები, ვენის რბილი და კარგი ავეჯი, კრაოტები ინგლისის და ვარშავის ფაბრიკებისა, საყინულეები, სარკეები და მატერიები ავეჯისთვის.

მთელ საქონელს, როგორც რუსეთის ისე საზღვარ-გარეთისას, ვღებულობთ პირდაპირ ფაბრიკიდან, იყიდება ერთად და ცალობით, ● ფასები ხელმისაწვდომია ● ყველასთვის, რაშიც თითონ დარწმუნდება პატივცემული საზოგადოება, როცა ჩვენს მაღაზიაში ივაჭრებს. (0—8)